

სექსუალური შვიწროება დასჯადი ხდება



საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც სექსუალური შვიწროების აკრძალვის შესახებ რეგულაციების შემოღებას ითვალისწინებს.

კანონი, ინიციატორი	
კანონი: „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და თანმდევ კანონებში ცვლილებების პროექტები	
ინიციატორი: თამარ ჩუგოშვილი, თამარ ხულორდავა, დიმიტრი ცქიტიშვილი, რატი ოინათა-მაშვილი, გუგული მაღრაძე, ენძელა მაჭავარიანი, გიორგი ტულუში.	
ავტორი: საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო.	

კანონიერების ანტი
<ul style="list-style-type: none"> • კანონით განიშარტება ტერმინი “სექსუალური შვიწროება”; • სექსუალური შვიწროება რეგულირებას ექვემდებარება როგორც კერძო, ასევე საჯარო სივრცეში; • იზრდება სახალხო დამცველის უფლებამოსილების ფარგლები დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით; • დგინდება ფულადი სანქციები სექსუალური შვიწროებისათვის.

1. „სექსუალური შვიწროების“ განმარტება

სექსუალური შვიწროების განმარტება შრომის კოდექსში	
მოქმედი ნაწილი	შემოთავაზებული ცვლილება
არ იცნობს ტერმინს “სექსუალური შვიწროება”, არსებობს ზოგადი ჩანაწერი დისკრიმინაციის შესახებ.	<ul style="list-style-type: none"> • დისკრიმინაციის განმარტებაში დაკონკრეტდა სექსუალური შვიწროების შემთხვევის არსებობაც; • სექსუალური შვიწროება განიშარტება, როგორც: <i>“პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს”.</i>

სექსუალური შვიწროების განმარტება საჯარო სივრცეში

მოქმედი ნაწილი	შემოთავაზებული ცვლილება
არ არის განმარტებული.	<p>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შემოთავაზებულია დეფინიცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სექსუალურ შვიწროებად ჩაითვლება საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

2. სახალხო დამცველის უფლებამოსილების გაზრდა

სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით	
მოქმედი ნაწილი	შემოთავაზებული ცვლილება
ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე კერძო სამართლის სხვა სუბიექტებს არ გააჩნიათ სახალხო დამცველის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება.	<p>ფიზიკურ პირებს, იურიდიულ პირებსა და კერძო სამართლის სხვა სუბიექტებს ევალებათ სახალხო დამცველის მოსთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა წარადგინონ:</p> <ul style="list-style-type: none"> • შემონმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, დოკუმენტი და სხვა მასალა; ასევე წერილობითი ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე.

ჩაკომუნიკაციის განხილვის უფლებამოსილება

მოქმედი ნაწილი	შემოთავაზებული ცვლილება
არ ითვალისწინებს.	სექსუალური შვიწროების საქმეებზე სახალხო დამცველს ენიჭება უფლებამოსილება გამოსცეს რეკომენდაცია, რომლითაც დისკრიმინაციული ქმედების განმარტების მიზნად იწვევს ან იურიდიულ პირს, ასევე კერძო სამართლის სხვა სუბიექტებს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ღონისძიებების განხორციელებას სთავაზობს.

წინადადებათა და ჩაკომუნიკაციით მიმართვის უფლებამოსილება

მოქმედი ნაწილი	შემოთავაზებული ცვლილება
ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე კერძო სამართლის სხვა სუბიექტებს არ გააჩნიათ სახალხო დამცველის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოდგენის, ასევე მისი რეკომენდაციების განხილვის ვალდებულება.	სახალხო დამცველი მიმართავს პირებს წინადადებებით და რეკომენდაციით, რომლებიც ვალდებულნი არიან განიხილონ ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობონ სახალხო დამცველს განხილვის შედეგები.

სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა

მოქმედი ნაწილი	შემოთავაზებული ცვლილება
სექსუალური შვიწროების შემთხვევაში სახალხო დამცველის მიერ სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის შესაძლებლობა არ არის განსაზღვრული.	სახალხო დამცველი უფლებამოსილია, მოსარჩელის სტატუსით მიმართოს სასამართლოს სარჩელით, თუ იურიდიულმა პირმა ან კერძო სამართლის სხვა სუბიექტმა მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს.

სექსუალური შვიწროების საჯარო სივრცეში

მოქმედი ნაწილი	შემოთავაზებული ცვლილება
არ ითვალისწინებს.	სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში მიუთითებს იმ ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე კერძო სამართლის სხვა სუბიექტების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც დისკრიმინაციის საქმეებზე, მათ შორის სექსუალური შვიწროების გზით, არღვევდნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და არ ითვალისწინებდნენ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს.

სექსუალური შვიწროება ადმინისტრაციული სამართალდარღვევა

ალსრულების შექმნის - პატივები

მოქმედი ნაწილი	შემოთავაზებული ცვლილება
არ ითვალისწინებს.	<p>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებრივ ადგილებში პირის სექსუალური შვიწროება ჯარიმდება 300 ლარით; • ამ ქმედების ჩადენა არასრულწლოვნის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, მძიმ პირის მიმართ ან არასრულწლოვნის თანდასწრებით - გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე ოდენობით; • სექსუალური შვიწროების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, რეაგირებას ახდენს შსს.

შეფასება/ჩაკომუნიკაცია

სექსუალური შვიწროების საკითხი გამოწვევასა და პრობლემას წარმოადგენს არსებულ საკანონმდებლო სივრცეში. ამ მიმართულებით ცვლილებების საჭიროება არაერთ კვლევაშია ხაზგასმული.¹

სექსუალური შვიწროების რეგულირება სხვადასხვა საერთაშორისო აქტებში გვხვდება. ასოციაციის შეთანხმების XXX დანართის თანახმად, შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში საქართველოს ევალება შეასრულოს 2006 წლის 5 ივლისის ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2006/54/EC დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას. კერძოდ, 2006/54/EC ევროდირექტივაში აღნიშნულია, რომ აღდამიანის შვიწროების, მათ შორის სექსუალური ხასიათის, წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მოპყრობის პრინციპის ხელშეშობა. ევროპის საბჭოს დირექტივები, ავალდებულებს სახელმწიფოს მიიღოს ან გააუქმოს ისეთი საკანონმდებლო ნორმები, რომლის საშუალებითაც პასუხისმგებელი უწყებებისთვის დაწესებული იქნება სანქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამრღვევის მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესებას.²

საქართველომ 2017 წელს „სტამბოლს კონვენციის“ რატიფიკაცია განახორციელა, რომლის მე-40 მუხლი ავალდებულებს მხარეებს მიიღონ ყველა საკანონმდებლო ან საჭირო ზომა, რომ სექსუალური შვიწროება დაექვემდებაროს სისხლის სამართლის ან სხვა სახის სამართლებრივ სანქციებს, შესაბამისად, სექსუალური შვიწროება დარეგულირებული უნდა იქნეს, როგორც სამუშაო ადგილას, ასევე საჯარო სივრცეში.³ ამ საკითხზე მუშაობა საბჭოსთან არსებული სამუშაო ჯგუფის ფორმატში მიმდინარეობდა. საბოლოოდ, პარლამენტის წევრების მიერ კანონპროექტთა პაკეტი 2019 წლის დასაწყისში იქნა ინიცირებული.


მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭიროს წარმოდგენილ ინიციატივას. საჯარო სივრცეში და შრომა ურთიერთობაში სექსუალური შვიწროების დასჯადობა სპონტორ ცვლილებად უნდა შეფასდეს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ კანონით შემოთავაზებული რეგულაციები ეფექტურად აღსრულდეს პრაქტიკაში.

1 ვრცლად იხ. გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები - ნაწილი I, <https://goo.gl/dFZBxe>; „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება, 07 დეკემბერი, 2018, <https://goo.gl/aBoE58>

2 კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, <https://goo.gl/Rda3BQ>

3 კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, <https://goo.gl/hWSKba>

4 გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, ამოცანა 2. <https://goo.gl/zMhQSe>



პუბლიკაცია მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით